ურთიერთშეთანხმების აქტი N201/1

ქ. ვანი

2019 წელი

ერთის მხრივ ვანის მუნიციპალიტეტი (შემსყიდველი) წარმოდგენილი ვანის მუნიციპალიტეტის მერის ალექსანდრე გოგორიშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,ახალი გზა" (მიმწოდებელი) წარმოდგენილი ხელმძღვანელის დავით ჩინჩალაძის მინდობილი პირის ზურაბ ჩინჩალაძის სახით 2019 წლის 26 სექტემბერს გაფორმებული N201 ხელშეკრულების მე-17 მუხლის, სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის წესის დამტკიცების თაობაზე" მე-13 მუხლის და მე-7[1] მუხლის მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტის საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე:

საფუძველი: ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათი N1406-20 05.11.2019წ;

2019 წლის 26 სექტემბერს გაფორმებული N201 ხელშეკრულების შესაბამისად შპს ,,ახალი გზა" ახორციელებს ფერეთას ადმინისტრაციულ ერთეულში ალფაიძეების უბანში შიდა მუნიციპალური მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოებს.

მხარეები თანხმდებიან N201 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადა გაგრძელდეს 2019 წლის 23 ნოემბრამდე, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2019 წლის 24 დეკემბრამდე.

ხელშეკრულებაში მოცემული ყველა სხვა პირობა დარჩეს უცვლელი. შეთანხმება ძალაშია მითითებული თარიღიდან, წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.

ალექსანდრე გოგორიშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის მერი

ზურაბ ჩინჩალაძე

შპს ,,ახალი გზა"-ს ხელმძღვანელის

მინდობილი პირი

Self Governing Unit Vani Municipality

Digitally signed by Self Governing Unit Vani Municipality
Date: 2019.11.07 12:59:24 +04'00'

N 1406-20
05/11/2019

ვანის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ალექსანდრე გოგორიშვილს

პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ზედამხედველობის
სამსახურის უფროსის თეიმურაზ სოხანეიშვილის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ალექსანდრე,

განვიხილეთ შპს ,,ახალი გზა"-ს (ს/კ 404940249) 2019 წლის 01 ნოემბრის #01/11-01 წერილი რომლითაც ითხოვს ვანის მუნიციპალიტეტის მერიასა და მათ შორის 2019 წლის 26 სექტემბერს გაფორმებულ # 201 ხელშეკრულების შესაბამისად განსახორციელებელ პროექტზე ,, ფერეთას ადმინისტრაციული ერთეულში, ალფაიძეების უბანში შიდა მუნიციპალური საავტომობილო გზის რეაბილიტაცია" სამუშაოების დასრულების ვადის გადაწევას. შევისწავლეთ ადგილზე, ობიექტზე არსებული მდგომარეობა. სამუშაოები მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში, შესრულებული სამუშაოების ხარისხი დამაკმაყოფილებელია, კოპანიისაგან ნამდვილად იგრძნობა ნაკისრი ვალდებულებისადმი პასუხისმგებლობა და საქმისადმი პროფესიონალიზმი. მიუხედავად ცუდი ამინდებისა დღეისათვის შესრულებული აქვთ სამუშაოების 90 %-მდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნევთ შპს ,,ახალი გზა"-ს (ს/კ 404940249) ვანის მუნიციპალიტეტის მერიასა და მათ შორის 2019 წლის 26 სექტემბერს გაფორმებული #201 ხელშეკრულების შესაბამისად განსახორციელებელ პროექტზე ,, ფერეთას ადმინისტრაციული ერთეულში, ალფაიძეების უბანში შიდა მუნიციპალური საავტომობილო გზის რეაბილიტაცია" **სამუშაოების დასრულების ვადა გაუგრძელდეს 2019 წლის 23 ნოემბრამდე.**

გთხოვთ საკითხის შემდგომი განხილვისა და რეაგირების მიზნით გადაუგზავნოთ ადმინისტრაციისა და შესყიდვების სამსახურს.

თეიმურაზ სოხანეიშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ზედამხედველობის სამსახური

№01/11-01
01.11.2019წ

ქ.ვანის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ალექსანდრე გოგორიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

როგორც თქვენთვის ცნობილია ვანის მუნიციპალიტეტსა და შპს ახალ გზას შორის გაფორმებული N 201 26.09.2019წ ხელშეკრულების საფუძველზე ვასრულებთ ფერეთას ადმინისტრაციულ ერთეულში ალფაიძეების უბანში შიდა მუნიციპალური მნიშვნელობის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაა 492700.00 (ოთხასოთხმოცდათორმეტიათასშვიდასი) ლარი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით, რომლის სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2019 წლის 9 ნოემბერი და ხელშეკრულების დასრულების ვადად 2019 წლის 20 დეკემბერი.

გთხოვთ სამუშაოების დასრულების ვადა გაგვიგრძელოთ 2019 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

პატივისცემით,

დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი ზურაბ ჩიხჩალიშვილი

АХМАЛИ ГЗА
404940249
АХМАЛИ ГЗА - LTD
GEORGIA